საზოგადოებრივი მაუწყებლის

განვითარების კონცეფცია

სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატის
***თეა გეგენავას* ხედვა**

1. მისია და სტრატეგიული ხედვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის დეკლარირებული მიზანია იყოს საზოგადოების ინტერესების გამტარებელი, პოლიტიკური პროცესების ობიექტური შემფასებელი, სანდო და მაღალი ხარისხის კონტენტის შემქმნელი პლატფორმა. ჩემი, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრის მიზანი იქნება, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ უზრუნველვყო მაუწყებლის საქმიანობის სრული შესაბამისობა „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონთან, მაუწყებლის მისიასთან და საზოგადოების მოლოდინებთან.

2. ნდობის აღდგენა პოლიტიკური გაშუქებისას

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დღეს მიმაჩნია მის მიმართ ნდობის ნაკლებობა საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის მხრიდან. ნდობა პირდაპირპროპორციულია პოლიტიკური მიუკერძოებლობის.

სამეურვეო საბჭოს მანდატის გამოყენებით, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობ მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობას და მის მონიტორინგს, რომ საინფორმაციო პლატფორმები დისტანცირებულები იყვნენ ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფის გავლენისგან; რომ ეთიკური სტანდარტების შესრულება და საინფორმაციო გამოშვებების გაშუქების ბალანსი არ იყოს ფორმალობა და ცარიელი ციფრები, არამედ მისდევდეს ფაქტების სიზუსტეს და არა რომელიმე გავლენის ჯგუფის სუბიექტურ ინტერესს.

3. სამეურვეო საბჭოს ზედამხედველობითი ფუნქციის გაძლიერება

სამეურვეო საბჭოს მანდატი გარდა მენეჯმენტის დამტკიცებისა არის საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის სისტემური და ეფექტიანი ზედამხედველობა. ჩემი მიდგომა დაეფუძნება:

- **ეთიკური და სარედაქციო სტანდარტების მუდმივ კონტროლს:** სამეურვეო საბჭოს მიერ ეთიკის ნორმების შესრულების აქტიურ მონიტორინგს, რაც გულისხმობს ეთიკური დარღვევების ან მიკერძოების შემთხვევებზე მყისიერ რეაგირებას საბჭოს წევრებთან და არხის მენეჯმენტთან ერთად.

- **პროგრამული პრიორიტეტების საზოგადოებრივ დღის წესრიგთან შესაბამისობას:** მაუწყებლის საეთერო ბადე უნდა ასახავდეს საზოგადოებისთვის აქტუალურ დღის წესრიგს, უნდა შედგებოდეს მის საჭიროებებზე მორგებული პროექტებისგან,

მრავალფეროვანი კონტენტისგან განათლების, კულტურისა და ინფორმაციის კუთხით.

- **გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას:** სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებების მაქსიმალურ საჯაროობას და საზოგადოების უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესებას.

4. **ეთიკური კლიმატის გაჯანსაღება**

ვინაიდან სამეურვეო საბჭო პასუხისმგებელია ეთიკურ სტანდარტებზე, ჩემი პრიორიტეტი იქნება:

- **ეთიკის ნორმების სრულფასოვანი აღსრულება:** მისი პერიოდული განახლება თანამედროვე მედიაგამოწვევების (მათ შორის, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის) გათვალისწინებით.

- **შინაარსობრივი კონტროლის გაძლიერება:** პროგრამული პრიორიტეტების დამტკიცებისას ყურადღების გამახვილება მაღალი სტანდარტის ჟურნალისტიკაზე, რომელიც დაფუძნებულია ფაქტების გადამოწმებასა და პლურალიზმზე.

- **მენეჯმენტის ეფექტიანი ზედამხედველობა:** სარედაქციო დამოუკიდებლობის და მაუწყებლის საქმიანობის ნებისმიერი პოლიტიკური ან კერძო ინტერესისგან დაცვა.

4. ფინანსური და მმართველობითი გამჭვირვალობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინანსდება გადამხდელთა გადასახადებით, რაც გულისხმობს მაღალ ანგარიშვალდებულებას, ამიტომ ჩემი მუდმივი ყურადღების საგანი იქნება:

- **ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯვა:** სამეურვეო საბჭოს მიერ ბიუჯეტის შესრულების მკაცრი კონტროლი, რათა ფინანსური რესურსი მოხმარდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ხარჯებს, არამედ ხარისხიანი კონტენტის შექმნასა და ტექნიკურ განვითარებას.

- **მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება:** გენერალური დირექტორის საქმიანობის რეგულარული შეფასება წინასწარ განსაზღვრული KPI-ების (შესრულების ძირითადი ინდიკატორების) საფუძველზე.

5. მომავლის ხედვა: ინოვაცია და განათლება

მაუწყებლის განვითარება შეუძლებელია ინოვაციების გარეშე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია:

- **ციფრული პლატფორმების განვითარება:** ტრადიციულ მაუწყებლობასთან ერთად, ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობა, რათა მაუწყებელმა დაიკავოს ადგილი ახალი თაობის აუდიტორიის საინფორმაციო სივრცეში.

- **მედიაწიგნიერების მხარდაჭერა:** მაუწყებლის მისიაა საზოგადოების განათლების ხელშეწყობა, ამიტომ მხარს დავუჭერ პროექტებს, რომლებიც მიმართულია მედიაწიგნიერების ამაღლებისკენ.

- **რეგიონები და საგანმანათლებლო მისია (პრიორიტეტული მიმართულებები)**

რეგიონული რეპრეზენტაცია და ხელმისაწვდომობა:

- მხარს დავუჭერ რეგიონული ბიუროების გაძლიერებას, რათა რეგიონების ხმა, პრობლემები და კულტურული მრავალფეროვნება გახდეს ეროვნული დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი.
- მნიშვნელოვნად მიმაჩნია მაუწყებლის ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონებში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი ინტეგრაცია საინფორმაციო სივრცეში.

საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროგრამები:

- მაუწყებლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ვალდებულება საზოგადოების განათლების ხელშეწყობაა. მხარს დავუჭერ ისეთი პროგრამული პრიორიტეტების დამტკიცებას, რომლებიც მიმართულია ფორმალური და არაფორმალური განათლების მხარდაჭერაზე.

- პრიორიტეტს მივანიჭებ მეცნიერების, ტექნოლოგიების, ხელოვნებისა და ისტორიის პოპულარიზაციას, რაც მაყურებელს აძლევს ფართო მსოფლმხედველობას. მაუწყებელი უნდა იქცეს პლატფორმად, სადაც ცოდნაზე წვდომა ექნება ყველა ასაკისა და ინტერესის ჯგუფს.

- როგორც სამეურვეო საბჭოს წევრი, გავაკონტროლებ, რომ საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტები არ ექცეოდეს „მკვდარ საათებში“, არამედ იკავებდეს მნიშვნელოვან დროს საეთერო ბადეში, რათა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ფართო აუდიტორიისთვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობა მოითხოვს პრინციპულობასა და კანონის უზენაესობის დაცვას. ჩემი ხედვა მიმართულია იმისკენ, რომ მაუწყებელი გახდეს რეალურად დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და საზოგადოების ნდობაზე დაფუძნებული ინსტიტუტი, რომელიც ყველაზე რთული პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისების დროს ქვეყანაში, საზოგადოების არცერთი ჯგუფის მხრიდან არ იქნება აღქმული, როგორც მხარე

და პოლარიზების კიდევ ერთი წყარო, არამედ შეასრულებს მაკონსოლიდირებელი, ნდობით აღჭურვილი ინსტიტუტის ფუნქციას.